PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - კოლეჯ „აისის“ მიერ მიერ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „სავალი ნაწილის შეკეთება “ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: რუსუდან თედორაძე

წევრები:

ვალერი ჯაჯანიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

(ქალაქი, წელი)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „აისი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი:[redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის **2020 წლის 9 ივნისის MES 1 20 00449995 ბრძანების საფუძველზე** ავტორიზაციის ესპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ კოლეჯ „აისის“ მიერ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „სავალი ნაწილის შეკეთება “ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის შემოწმება. ამ მიზნით განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი გურჯაანის მუნიციპალიტეტ სოფელ კაჭრეთში 2020 წლის 1 ივლისს.

ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეადგინა დღის წესრიგი.(დანართი 1) დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება; დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული არსებული პრაქტიკის შემოწმება, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების შემოწმება, მათთან გასაუბრება; პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შემოწმება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმების შემოწმება/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკის შემოწმება/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება.

ვიზიტის ბოლოს მოხდა ჯგუფის წევრებს შორის გაწეული მუშაობის შედეგების შეჯამება და დაწესებულებისთვის წარდგენა. კოლეჯს 6 წლით აქვს მიენიჭებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი- ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N26, 2016 წლის 23 სექტემერი, ცვლილება 2020 წლის 7 თებერვალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

საუკეთესო გამოცდილების მაგალითი/ები არ დაფიქსირებულა.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

სასურველია ინტეგრირებული მოდულების პედაგოგებმა გაიარონ ტრენინგები (პრაქტიკული კუთხით), სადაც აქცენტი იქნება გაკეთებული ახალი ინვენტარის და ხელსაწყოების ინსტრუქციებზე, პრაქტიკული დავალებების შინაარსზე, მოდულური პროგრამების პრაქტიკული ნაწილის მნიშვნელობაზე და ა. შ. ასევე, მნიშვნელოვანია, პედაგოგს გააზრებული ჰქონდეს ძირითად სპეციალობასა და პროგრამაში ინტეგრირებულ მოდულებს შორის ურთიერთკავშირის დანახვისა და გაანალიზების აუცილებლობა. **მიმდინარე**

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

სასურველია, დაწესებულების მიერ გარკვეული პერიოდულობით შემუშავდეს კვლევის ანგარიშები, რომელიც დაეფუძნება კვლევის მეთოდოლოგიას და მასში გაწერილი იქნება როგორც კვლევის მიზანი, სამიზნე ჯგუფი, მონაცემთა შეგროვების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მეთოდები, ასევე მოხდება მიღებულ მონაცემთა ანალიზი, ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთება ძირითადი მიგნებები და გაიცემა რეკომენდაციები. აქედან გამომდინარე, სასურველია გადაიხედოს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებიც. აღნიშნული კოლეჯს უფრო მეტად მისცემს პროგრამების განვითარების შესაძლებლობას.

2019 წლის 21 ოქტომბრის N02-01-118 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანის წესსა და დამტკიცების პროცედურაში სასურველია გაწერილი იყოს, ვინ განიხილავს ცვლილებებს, როგორ ხდება ცვლილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება დაწესებულებაში, ან მის გარეთ სხვადასხვა მიზეზთა გამო. მაგალითად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების, ან საკუთარი ინიციატივით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების დამატების ან/და ამოღების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში და სხვა. **მიმდინარე**

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

2019 წლის 21 ოქტომბრის N02-01-118 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანის წესითა და დამტკიცების პროცედურით ირკვევა, რომ სასწავლო გეგმით სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ უნდა იყოს 30 საათზე ნაკლები და 40 საათზე მეტი. სატყეო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვა დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით შეადგენს დაახლოებით 25 საათს. შესაბამისად, სასურველია, დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციაში პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის ქვედა ზღვარი გათვალისწინებული არ იყოს, გამომდინარე საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამებიდანაც, რომლებშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. სასურველია, დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციებში შევიდეს გარკვეული ცვლილება და ისინი შესაბამისობაში მოვიდეს მინისტრის ბრძანებებთან. მაგალითად, მარეგულირებელი წესით ირკვევა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მინიმუმ 10% განსაზღვრულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის, როდესაც პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებით სსსმ პირთა კვოტა თითოეულ პროგრამაზე განსაზღვრულია სრული რაოდენობის 15 პროცენტით. აღნიშნულ დებულებაში ცვლილება განხორციელებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 სექტემბრის N203/ნ ბრძანებით. ასევე, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც დაწესებულების მიერ ცალკე მარეგულირებელი დოკუმენტითაც რეგულირდება. აღნიშნული დოკუმენტები არ ავსებენ ერთმანეთს და ძირითადად ერთნაირია. შესაბამისად, სასურველია რეგულაციები გადაიხედოს და განხორციელდეს ცვლილებები. **შესრულებულია**

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას სასურველია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ფარავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. ასევე, განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრული იყოს, რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება ამ დროს (უკვე გამოყენებული, თუ ახალი), რა ვადებში უნდა მოხდეს ნამუშევრების გასწორება და შეფასება და სხვა. სასურველია შეფასების მექანიზმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

აწესრიგებდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტების შექმნა (როდის იქმნება, ვის მიერ), განმეორებითი შეფასებისთვის როდის იქმნება ინსტრუმენტი, როდის და როგორ ხდება ინსტრუმენტების გადამოწმება (შეფასებამდე რამდენი ხნით ადრე აწვდის შემმოწმებელს, როგორ იღებს უკუკავშირს და სხვა), რამდენი ხნით ადრე იგებს სტუდენტი შეფასების შესახებ, როდის ეცნობა შეფასების სქემას, როგორ ხდება მტკიცებულებების მოპოვება და შენახვა (ვინ მოიპოვებს, ვისთან ინახება, ვის გადასცემენ შემდეგომ და სხვა). მიზანშეწონილია შეფასების უწყისები ინახებოდეს უვადოდ, ხოლო შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები, უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. 3 წლის შემდეგ მტკიცებულებები შეიძლება განკარგულ იქნას დაწესებულების მიერ დადგენილი წესით. **შესრულებულია**

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია

2.1.1. პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინდიკატორი 4

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, მეტწილად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის დაახლოებით 50% პროგრამის განაცხადის მიხედვით, არის კოლეჯის საკუთრებაში. ხოლო დარჩენილი მატერიალური რესურსის მოძიებას კოლეჯი აპირებს შესყიდვის გზით, რაც დასტურდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 28 მაისის #02-01-110 ბრძანებით დამტკიცებული შესყიდვების შესაბამისობის გეგმით. რაც შეეხება სასწავლო რესურსს, ზოგიერთი მოდული მაგ. ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები სასწავლო რესურსის გარეშეა წარმოდგენილი, ხოლო საერთო პროფესიული, პროფესიული და კონცენტრაციის მოდულების სასწავლო რესურსი უმეტესად მოძველებულია ან არ შეესაბამება თემატიკას, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია არსებული უცხოენოვანი ლიტერატურის ბაზაზე შეიქმნას სალექციო კონსპექტი, რაც პროფესიულ სტუდენტისთვის ხელმისაწვდომს გახდის თანამედროვე ლიტერატურას; რადგან დაწესებულების მხრიდან გამოითქვა აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინების მზაობა სწავლის დაწყებამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა მეტწილად.

ინდიკატორი 7

პროგრამის სახელწოდება მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება პროგრამის შინაარსს, იმდენად რამდენადაც სავალი ნაწილი გააჩნია დედამიწის ხმელეთზე და ზღვაზე მოძრავ ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებას, პროგრამის მსგავსი დასახელება გაურკვეველია რა მიმართულებით განხორციელდება მომზადება, იქნება ეს ავტოსატრანსპორტო საშუალება, რკინიგზა, ურიკა, სატვირთო თუ მსუბუქი ავტომობილი და ა.შ., მაშინ როდესაც პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია და მისაღწევი სწავლის შედეგები გულისხმობს მსუბუქი ავტომობილის სერვისის სპეციალისტის მომზადებას პროგრამის მსგავსი დასახელება შეცდომაში შემყვანია. აღნიშნულის თაობაზე დაწესებულების მხრიდან იქნა გაკეთებული განმარტება, რომ მათ იხელმძღვანელეს ჩარჩო დოკუმენტის **ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისი 07119-პ** ერთ-ერთი კონცენტრაციის სახელწოდების ,,სავალი ნაწილის შეკეთება“ მიხედვით, იმდენად რამდენადაც აღნიშნულ ჩარჩო დოკუმენტში აღნიშნული კონცენტრაცია კიდევ 2 კონცენტრაციასთან ერთად მოქცეულია ერთი ქუდის ქვეშ ,,მსუბუქი ავტომობილის შეკეთება“ და აღნიშნული მიმართულების განშტოებაა ჩარჩო დოკუმენტში კონცენტრაციის მსგავსი ფორმულირება არაა შეცდომაში შემყვანი, ხოლო ერთეულად წარმოდგენილი პროგრამის მსგავსი დასახელებით გამოტანა რეალურად შეცდომაში შემყვანია, იმდენად რამდენადაც არაა დაკონკრეტებული რა სახეობის ტანსპორტის სავალ ნაწილზეა საუბარი, სასურველია პროგრამას დაერქვას სახელწოდება: ,,მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“, რაც პასუხობს პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შინარსსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; რადგან დაწესებულების მხრიდან გამოითქვა აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინების მზაობა სწავლის დაწყებამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა მეტწილად.

2.2.1 პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ინდიკატორი 2

პროგრამით გათვალისწინებულ პროფესიულ მოდულებს ჰყავთ მხოლოდ ორი განმახორციელებელი, ვიზიტის დროს განმახორციელებლებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნული ორი პროფესიული მასწავლებლიდან ერთი- შეძლებს მხოლოდ ე.წ. თეორიული პროფესიული მოდულების სწავლების განხორციელებას, ხოლო პრაქტიკულ მოდულებს (და შესაბამისად ე.წ. თეორიულსაც) გაუძღვება მეორე მასწავლებელი,იმდენად რამდენადაც პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება შეუძლია მხოლოდ ერთ პროფესიულ მასწავლებელს, ჩნდება კითხვები რა სახით მოხდება აღნიშნული პიროვნების ჩანაცვლება მისთვის კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობის(როგორიცაა ანაზღაურებადი თუ არაანაზღაურებადი შვებულება, საავადმყოფო ფურცლის გამოყენება) და სხვა დაგეგმილი თუ დაუგეგმავი ღონისძიების შემთხვევაში. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პირის ჩამნაცვლებლის მოძიება. <u>რადგან დაწესებულების მხრიდან გამოითქვა აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინების მზაობა სწავლის დაწყებამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა მეტწილად.</u>

განმახორციელებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში მითითებულია მიმართულება/პროგრამის სახელწოდება, მაგრამ არა კონკრეტული მოდულები, ასევე ზეგანაკვეთური ანაზღაურების წესი ბუნდოვანია ,,ზეგანაკვეთური საათების ანაზღაურების წესი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით". აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია შრომით ხელშეკრულებებში ხელშეკრულების საგანში მიეთითოს მოდულების დასახელება, რომელსაც წაიკითხავს პროფესიული განათლების მასწავლებელი და დაზუსტდეს ჩანაწერი ზეგანაკვეთური სამუშაო შესრულების შემთხვევაში ანაზღაურების პირობების შესახებ.

ინდიკატორი 3

,,მსუბუქი ავტომობილის შეკეთება - პროფესიული მოდულის“ - ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოების განმახორციელებლად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

წარმოდგენილია ინგლისური ენის პროფესიული მასწავლებელი. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით აღნიშნული მოდულის სწავლის შედეგების: **ტექნიკური აბრევიატურებისა და სიმბოლოების განსხვავება; ბლოკ-სქემებისა და პრინციპული სქემების წაკითხვა-ანალიზი; ბლოკებსა და მიკროსქემებზე აბრევიატურებისა და სიმბოლოების ამოკითხვა-გაანალიზება; ტექნიკურ ლიტერატურაში მოცემული მასალების გააზრება,** მხოლოდ ინგლისური ენის პედაგოგის კომპეტენციით შეუძლებელია. რეკომენდებულია მოხდეს აღნიშნულ მოდულზე განმახორციელებლების დამატება და დაემატოს პროფესიული მოდულის განმახორციელებელი პირი. <u>რადგან დაწესებულების მხრიდან გამოითქვა აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინების მზაობა სწავლის დაწყებამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა მეტწილად.</u>

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

ინდიკატორი 2

ვერიფიკაციის ჯგუფის სავარაუდო შემადგენლობაში მითითებულია პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც აღნიშნული ფუნქცია ასევე განსაზღვრული აქვს მასთან გაფორმებული ხელშეკრულების შეთანხმების წერილით. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია „შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია“ ითვალისწინებდეს ჩანაწერს პროგრამის ხელმძღვანელის ვერიფიკაციის ჯგუფში იმ საკითხებზე/იმ შემთხვევაში ჩართვის შესახებ, რომელიც არ გააჩენს შეკითხვებს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გამოწვევის შესახებ.

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის სახელწოდება	სავალი ნაწილის შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთაბაში / Basic Vocational Qualification in Vehicle Repair
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის დირექტორის 2020 29 მაისის #02-01-111 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი კაჭრეთი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30; გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი კაჭრეთი
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	75

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

PDF Eraser Free

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სავალი ნაწილის შეკეთება“ შემუშავებულია სსიპ კოლეჯის ,,აისი“ დირექტორის 2020 წლის 27 მაისის N 02-01-109 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად და დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 29.05.2020 წლის, #02-01-111 ბრძანებით. დაწესებულების გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სავალი ნაწილის შეკეთება“ განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, კერძოდ: დაწესებულებაში შემუშავებულია დოკუმენტი აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის შესახებ, მოცემული დოკუმენტის მიხედვით კოლეჯს ჩატარებული აქვს შესაბამისი კვლევა, გააჩნია მატერიალური და ადამიანური რესურსი და მსგავსი საგნობივი პროგრამების განხორციელების პრაქტიკა .საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ დაწესებულების გადაწყვეტილება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,სავალი ნაწილის შეკეთება“ დაშვების წინაპირობა (საბაზო განათლება), სრულ შესაბამისობაში მოდის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობასთან;

დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 21 ოქტომბრის N02-01-119 ბრძანებით, აღნიშნული მეთოდოლოგია გარკვეულწილად საერთოა ყველა პროგრამისთვის, სასურველია დაკონკრეტებული იყოს, თუ რომელი პროგრამის, რომელი მოდულის, ან შედეგის განხორციელება წარმოებს კოლეჯის ბაზაზე და რა არის გატანილი პრაქტიკის ობიექტზე, მსგავსი დიფერენციაცია უფრო ნათელ სურათს მოგვცემდა მისაღები კონტიგენტის დაგეგმვის დროს. კოლეჯის საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსი - მათ შორის 2020 წლის 28 მაისის #02-01-110 ბრძანებით დამტკიცებული შესყიდვების შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული, საშუალებას იძლევა კვალიფიკაციის მისაღები სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შედეგების უმეტესობა მიღწეულ იქნას კოლეჯის ბაზაზე, ხოლო შედეგები როგორიცაა საჭით მართვის სისტემების დიაგნოსტირება; გამოვლენილი უწესივრობების აღმოფხვრა და შემდგომი დიაგნოსტიკა (მოდული: საჭით მართვის მექანიზმის და გამაძლიერებელი სისტემების სერვისი), გამოვლენილი უწესივრობის აღმოფხვრა და შემდგომი დიაგნოსტირება (მოდული: ავტომობილის სამუხრუჭე სისტემის სერვისი) აუცილებელია გატანილი იყოს პრაქტიკის ობიექტზე, რადგან კოლეჯს ამ ეტაპზე საკუთრებაში არ აქვს შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ხელშეკრულება #72, 20.05.2020 წ. შპს ,,ვირსერვისთან", რომლის მიხედვითაც არაა განსაზღვრული თუ რომელი მოდულის, რომელი სწავლის შედეგის განხორციელება მოხდება ობიექტის ბაზაზე. იმდენად რამდენადაც დაწსებულებას წარმოდგენილი შესყიდვების გეგმაში განსაზღვრული აქვს აღნიშნული შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსის შესყიდვა, განსაზღვრულია მიწოდების ვადები, ხოლო აღნიშნული მოდულების განხორციელება იგეგმება 26 -ე და 33 - ე კვირიდან, კოლეჯს საშუალება ექნება უკვე საკუთარი ბაზის გამოყენებით უზრუნველყოს აღნიშნული შედეგების მიღწევა;

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, მეტწილად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის დაახლოებით 50% პროგრამის განაცხადის მიხედვით, არის კოლეჯის საკუთრებაში. ხოლო დანარჩენი მატერიალური რესურსის მოძიებას კოლეჯი აპირებს შესყიდვის გზით, რაც დასტურდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 28 მაისის #02-01-110 ბრძანებით დამტკიცებული შესყიდვების შესაბამისობის გეგმით. <u>რაც შეეხება სასწავლო რესურსს, ზოგიერთი მოდული მაგ. ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები სასწავლო რესურსის გარეშეა წარმოდგენილი, ხოლო საერთო პროფესიული, პროფესიული და კონცენტრაციის მოდულების სასწავლო რესურსი უმეტესად მოძველებულია ან არ შეესაბამება თემატიკას, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია არსებული უცხოენოვანი ლიტერატურის ბაზაზე შეიქმნას სალექციო კონსპექტი, რაც პროფესიულ სტუდენტისთვის ხელმისაწვდომს გახდის თანამედროვე ლიტერატურას; რადგან</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

<u>დაწესებულების მხრიდან გამოითქვა აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინების მზაობა სწავლის დაწყებამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა მეტწილად.</u>

საგანმანათლებლო პროგრამა ,,სავალი ნაწილის შეკეთება“, ითვალისწინებს ერთ არჩევით მოდულს ,,საგზაო მოძრაობის წესები“, რომელიც შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და გარკვეულწილად დაკავშირებულია პროგრამის კურსდამთავრებულის მომავალ საქმიანობასთან, თუმცა განაცხადის მიხედვით ირკვევა, რომ პროგრამას არ აქვს არჩევითი მოდულები;

საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის - დირექტორის მიერ, რასაც ადასტურებს პროგრამის დამტკიცების აქტი/ბრძანება N02-01-111; 29.05.2020 წელი;

პროგრამის სახელწოდება მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება პროგრამის შინაარსს, იმდენად რამდენადაც სავალი ნაწილი გააჩნია დედამიწის ხმელეთზე და ზღვაზე მოძრავ ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებას, პროგრამის მსგავსი დასახელება გაურკვეველია რა მიმართულებით განხორციელდება მომზადება, იქნება ეს ავტოსატრანსპორტო საშუალება, რკინიგზა, ურიკა, სატვირთო თუ მსუბუქი ავტომობილი და ა.შ., მაშინ როდესაც პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია და მისაღწევი სწავლის შედეგები გულისხმობს მსუბუქი ავტომობილის სერვისის სპეციალისტის მომზადებას პროგრამის მსგავსი დასახელება შეცდომაში შემყვანია. აღნიშნულის თაობაზე დაწესებულების მხრიდან იქნა გაკეთებული განმარტება, რომ მათ იხელმძღვანელეს ჩარჩო დოკუმენტის **ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისი 07119-3** ერთ-ერთი კონცენტრაციის სახელწოდების ,,სავალი ნაწილის შეკეთება“ მიხედვით, იმდენად რამდენადაც აღნიშნულ ჩარჩო დოკუმენტში აღნიშნული კონცენტრაცია კიდევ 2 კონცენტრაციასთან ერთად მოქცეულია ერთი ქუდის ქვეშ ,,მსუბუქი ავტომობილის შეკეთება“ და აღნიშნული მიმართულების განშტოებაა ჩარჩო დოკუმენტში კონცენტრაციის მსგავსი ფორმულირება არაა შეცდომაში შემყვანი, ხოლო ერთეულად წარმოდგენილი პროგრამის მსგავსი დასახელებით გამოტანა რეალურად შეცდომაში შემყვანია, იმდენად რამდენადაც არაა დაკონკრეტებული რა სახეობის ტანსპორტის სავალ ნაწილზეა საუბარი. სასურველია პროგრამას დაერქვას სახელწოდება: ,,მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“, რაც პასუხს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გასცემს პროგრამის შინარსსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; <u>რადგან დაწესებულების მხრიდან გამოითქვა აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინების მზაობა სწავლის დაწყებამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა მეტწილად.</u>

პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სავალი ნაწილის შეკეთება“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის **ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისი 07119-3** საფუძველზე და მისი ერთ-ერთი კონცენტრაციაა. დაწესებულების მიერ წარმოგენილ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში იგულისხმება პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. კოლეჯს საშუალება აქვს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება (სწავლის დაწყებიდან 26 - ე კვირა) უზრუნველყოს საკუთარ ბალანსზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, ასევე შესაძლებელია პრაქტიკის ობიექტის გამოყენება, რა დროსაც აუცილებელია წინასწარ დაზუსტდეს რა რაოდენობის სტუდენტისა და რომელი შედეგების მისაღწევად გამოიყენება აღნიშნული ობიექტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- დირექტორის 2019 წლის 21 ოქტომბრის N02-01-119 ბრძანება;
- დირექტორის 2020 წლის 28 მაისის #02-01-110 ბრძანება;
- პროგრამის დამტკიცების აქტი/ბრძანება N02-01-111; 29.05.2020 წელი;
- საგანმანათლებლო პროგრამა ,,სავალი ნაწილის შეკეთება“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ხელშეკრულება #72, 20.05.2020 წ. შპს ,,ვირსერვისი“.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთრებაში არსებული ან შესაძენი მატერიალური რესურსით და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა რომ, განაცხადიდან ირკვევა კოლეჯს არ აქვს გაფორმებული მემორანდუმი/ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტებთან და რესურსი ან საკუთარ ბაზაზეა განთავსებული ან შესყიდვების გეგმით აპირებს შეძენას, აღმოჩნდა რომ პროგრამის განხორციელებისათვის პრაქტიკული კომპონენტის სწავლებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება #72, 20.05.2020 წ. შპს ,,ვირსერვისთან". პროგრამას თან ახლავს ის საჭირო მატერიალური რესურსი, რაც აუცილებელია პროგრამის განსახორციელებლად. ვიზიტის დროს შემოწმდა მატერიალური რესურსების შესაბამისობა მოთხოვნილი ზღვრულ რაოდენობასთან, შედეგად დგინდება, რომ მოთხოვნილი 30 სტუდენტის ერთდროულად მიღების შემთხვევაში აუცილებელია სწავლა წარიმართოს ორ ცვლაში, ხოლო 15-15 სტუდენტის მიღებისას სწავლება შესაძლებელია ჩვეულ რეჟიმში.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს პროფესიული განათლების 11 მასწავლებელი, აქედან 7 ზოგადი მოდულებისთვის, ხოლო 4 პროფესიული მოდულებისთვის. მათთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები. პროგრამით გათვალისწინებულ პროფესიულ მოდულებს ჰყავთ მხოლოდ ორი განმახორციელებელი, ვიზიტის დროს განმახორციელებლებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნული ორი პროფესიული მასწავლებლიდან ერთი- შეძლებს მხოლოდ ე.წ. თეორიული პროფესიული მოდულების სწავლების განხორციელებას, ხოლო პრაქტიკულ მოდულებს (და შესაბამისად ე.წ. თეორიულსაც) გაუძღვება მეორე ,იმდენად რამდენადაც პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება შეუძლია მხოლოდ ერთ პროფესიულ მასწავლებელს, ჩნდება კითხვები რა სახით მოხდება აღნიშნული პიროვნების ჩანაცვლება მისთვის კანონით მინიჭებული უფლებებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სარგებლობის(როგორიცაა ანაზღაურებადი თუ არაანაზღაურებადი შვებულება, საავადმყოფო ფურცლის გამოყენება)და სხვა დაგეგმილი თუ დაუგეგმავი ღონისძიების შემთხვევაში. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პირის ჩამნაცვლებლის მოძიება, თუნდაც პრაქტიკის ობიექტის რესურსის გამოყენებით. ,,მსუბუქი ავტომობილის შეკეთება - პროფესიული მოდულის" - ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოების განმახორციელებლად წარმოდგენილია ინგლისური ენის პროფესიული მასწავლებელი.ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით აღნიშნული მოდულის სწავლის შედეგების: **ტექნიკური აბრევიატურებისა და სიმბოლოების განსხვავება; ბლოკ-სქემებისა და პრინციპული სქემების წაკითხვა-ანალიზი; ბლოკებსა და მიკროსქემებზე აბრევიატურებისა და სიმბოლოების ამოკითხვა-გაანალიზება; ტექნიკურ ლიტერატურაში მოცემული მასალების გააზრება,** მხოლოდ ინგლისური ენის პედაგოგის კომპეტენციით შეუძლებელია.სასურველია მოხდეს აღნიშნულ მოდულზე განმახორციელებლების დამატება და დაემატოს პროფესიული მოდულის განმახორციელებელი პირი.<u>რადგან დაწესებულების მხრიდან გამოითქვა აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინების მზაობა სწავლის დაწყებამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა მეტწილად.</u>

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა პროგრამის ხელმძღვანელის და ყველა პედაგოგის პირადი საქმეების შესწავლა. წარმოდგენილი მასალები დამაკმაყოფილებელია და პედაგოგების კომპეტენცია იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. ამას ადასტურებს შესაბამისი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტები: დიპლომები და სერტიფიკატები, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სავალი ნაწილის შეკეთება" ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება პირადი საქმის მასალებით, პროგრამის ხელმძღვანელის პოზიცია დასტურდება 29.05.2020 შეთანხმების წერილის მიხედვით, სადაც გაწერილია მისი მოვალეობები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

„სავალო ნაწილის შეკეთება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური ან ელექტრონული სახით ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. დაწესებულებას აქვს სამკითხველო დარბაზი. სტუდენტებს საჭიროებისამებრ შეუძლიათ სასწავლო რესურსების გამოყენება. ვიზიტის პერიოდში აღმოჩნდა, რომ არ იძებნებოდა სასწავლო რესურსი: ,,შრომის ჰიგიენა და სამრეწველო სანიტარიის საფუძვლები მანქანათმშენებლობაში, ა. პლაკხინი. ს. შეფერი“, მიუხედავად აღნიშნული ლიტერატურის არარსებობისა საფრთხე არ ემუქრება კონცენტრაციის მოდულებით განსზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, იმდენად რამდენადაც აღნიშნული ლიტერატურა უფრო დამხმარე რესურსია ვიდრე ძირითადი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან, პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ შევსებული ბიუჯეტით, კერძოდ ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსებით. დაწესებულების მიერ განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი 5 სტუდენტით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროგრამის განაცხადის დანართები 3,4,5;
- 29.05.2020 შეთანხმების წერილი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სავალი ნაწილის შეკეთება“ მოდულები;
- პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის შეფასებისთვის დაწესებულებას შემუშავებული და უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (სსიპ კოლეჯის ,,აისი“ დირექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის N02-01-185 ბრძანება, ცვლილება 2020 წლის 29 მაისის N02-01-112 ბრძანებით). კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებთან (სასწავლო პროცესის და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერები, პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, იურისტი, ზრდასრულთა განათლების კორდინატორი, სასწავლო პროცესის მენეჯერების ასისტენტები) და პროგრამების ხელმძღვანელებთან / პროგრამის განმახორციელებლებთან კოორდინირებული თანამშრომლობით.კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ,,დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-განავითარე“ მოდელზე, რომლის შესაბამისად ხარისხის მართვის სამსახური გეგმავს თავის საქმიანობას.სწავლის/სწავლების პროცესის მიმდინარეობის და ხარისხის შეფასებისას შემოწმდება, თუ რამდენად შეესაბამება რეალურად მიმდინარე სასწავლო პროცესი სასწავლო კურსებით განსაზღვრულ ფორმატს და პირობებს, პასუხისმგებლობით ეკიდება თუ არა პერსონალი დაკისრებულ ვალდებულებებს, უზრუნველყოფილია თუ არა სტუდენტთა დახმარების და მხარდაჭერის სერვისი, სასწავლო პროცესის ხარისხი, საგანმანათლებლო პროგრამების ადეკვატური პირობები და სხვ. დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები:

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. კოლეჯს აღნიშნული მიმართულებით ჩატარებული აქვს შრომის ბაზრის კვლევა, რომლითაც ნაწილობრივ შეიძლება განისაზღვროს პროფესიული პროგრამის ,,სავალი ნაწილის შეკეთება“ დამატების მიზანშეწონილობა, ხოლო რაც შეეხება აღნიშნული პროგრამის განხორციელების შეფასებას იმდენად რამდენადაც პროგრამა ახალია მსგავსი ინფორმაცია ჯერ არ არის;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის N02-01-185 ბრძანებით დამტკიცებული, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის N02-01-112 ბრძანებით, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასუბრება

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სავალი ნაწილის შეკეთება“ ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. ქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა 40 კვირა, ხოლო, არა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 50 კვირა, სასწავლო გეგმაში შედგენილია წინაპირობების გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტს ეძლევა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით გაწერილი ვადები მოდულის გადაბარებასთან დაკავშირებით. კვირეული დატვირთვა არ არის 30 საათზე ნაკლები და 40 საათზე მეტი (დატვირთვაში იგულისხმება დამოუკიდებელი საათებიც), სასურველი იქნებოდა კონცენტრაციის მოდულებზე სწავლა უფრო ადრეულ კვირეებში დაწყებულიყო;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სავალი ნაწილის შეკეთება“ პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად დაწესებულება უმეტესწილად იყენებს საკუთარ რესურსს, ამავე დროს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება #72, 20.05.2020 წ. შპს ,,ვირსერვისთან“;

უსაფრთხო სამუშაო/სასწავლო გარემო უზრუნველყოფილის მიზნით დაწესებულებას დირექტორის 20.01.2020 წლის #03-01-05 ბრძანებით განსაზღვრული აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პოზიცია და გაწერილი აქვს აღნიშნულ პოზიციაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მომუშავე პირის მოვალეობები, ასევე პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულების 3.3.4 პუნქტის მიხედვით განსაზღვრულია უსაფრთხოების ტექნიკის და შრომის დაცვის პირობების დაცვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სავალი ნაწილის შეკეთება“ სასწავლო გეგმა შეფასება;
- ხელშეკრულება #72, 20.05.2020 წ. შპს ,,ვირსერვისი“;
- დირექტორის 20.01.2020 წლის #03-01-05 ბრძანება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პოზიციის შესახებ.

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლითაც ხდება სასწავლო პროცესის მართვა.აღნიშნული წესის მერვე თავი -პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა შეფასება - მოიცავს დეტალურ ინფორმაციას შეფასების, გასაჩივრების, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის,კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია.
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
დაწესებულებას შემუშავებული და უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული აქვს შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია (სსიპ კოლეჯის ,,აისი“ დირექტორის 2020 წლის 2 მარტის N02-01-53 ბრძანება).
მეთოდოლოგიის შესაბამისად კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც შეიძლება შევიდეს:
ა) კოლეჯის დირექტორის მოადგილე ან/და კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი; ხარისხის მართვის მენეჯერი,რომელიც შესაძლებელია ასევე შედიოდეს შიდა ვერიფიკაციის ჯგუფში. პროგრამების განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ შეფასების ინსტრუმენტების გადაგზავნა შესათანხმებლად მასწავლებლების მიერ ხდება ხარისხის მართვის მენეჯერთან. არსებულ სიტუაციაში ხარისხის მართვის მენეჯერი ვერ იქნება ობიექტური შემფასებელი, რაც შეუსაბამობაში მოდის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციასთან, როდესაც დაწესებულებამ თვითონვე უნდა იპოვოს საკუთარი შეუსაბამობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვერიფიკაციის ჯგუფის საკარიერო შემადგენლობაში მითითებულია პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც აღნიშნული ფუნქცია ასევე განსაზღვრული აქვს მასთან გაფორმებული ხელშეკრულების შეთანხმების წერილით. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია „შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია“ ითვალისწინებდეს ჩანაწერს პროგრამის ხელმძღვანელის ვერიფიკაციის ჯგუფში იმ საკითხებზე/იმ შემთხვევაში ჩართვის შესახებ, რომელიც არ გააჩენს შეკითხვებს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გამოწვევის შესახებ.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, სტუდენტთა ნაშრომები და სხვა/ინახება დაწესებულებაში,მოცემული პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მუხლი 30); აღნიშნული პროდუქტი შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება ,,საქმისწარმოების ერთიანი წესის” შესაბამისად. დოკუმენტები, რომლებიც გამოირჩევა შესრულების ხარისხით და შესაძლოა გამოყენებულ იქნას სასწავლო ან სხვა მიზნებისათვის,შესაძლოა ინახებოდეს ბიბლიოთეკაში. სტუდენტთა შეფასების უწყისები ინახება კოლეჯში უვადოდ.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.სასწავლო პროცესის მენეჯერი აანალიზებს შეფასების შედეგებს და ანგარიშს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის N02-01-111 ბრძანებით დამტკიცებული „თექის დამზადების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/მოდულები;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 მაისის N 02-01-109 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (ცვლილება დამტკიცებული 2020 წლის 1 ივლისის N 02-01-133 ბრძანებით);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 2 მარტის N02-01-53 ბრძანებით დამტკიცებული შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის N02-01-185 ბრძანებით დამტკიცებული, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის N02-01-112 ბრძანებით, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიურებით.
- საგანმანათლებლო პროგრამის მოდულები;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი 23/07/2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: